

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰიდრო VI“ (CCEH Hydro VI LLC)

**საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები მცირე და
საშუალო საწარმოებისთვის (IFRS / ფასს - SME-თვის)
ფინანსური ანგარიშგებები**

31 დეკემბერი 2023

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგებები

ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ	1
ანგარიშგება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის შესახებ	2
ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ	3
ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ	4

ფინანსურ ანგარიშგებებთან დაკავშირებული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კომპანიის საოპერაციო გარემო	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4. ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობის და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ	9
5. ძირითადი საშუალებები	10
6. სხვა ფინანსური აქტივი	10
7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	11
8. საწესდებო კაპიტალი	11
9. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ხარჯები	11
10. სხვა საოპერაციო ხარჯები	12
11. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	12
12. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	13
13. ფინანსური ინსტრუმენტები	13
14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

CCEH Hydro VI LLC

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	11,260	2,879	1,505
გრძელვადიან აქტივებზე გადახდილი აჯანსიები	5	3,557	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	6	555	-	-
არამატერიალური აქტივები		-	1	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		15,372	2,880	1,505
მოკლევადიანი აქტივები				
გაცემული სესხი	12	807	811	-
სხვა ფინანსური აქტივები	6	-	162	-
სხვა დებიტორული დავალიანებები		312	167	82
მარაგები		19	14	7
ფულადი სახსრები და მათი ექვივანტები	7	1,556	624	1,107
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,694	1,778	1,106
სულ აქტივები		18,067	4,658	2,611
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	5,294	4,500	3,731
დამატებითი კაპიტალი	8	17,208	4,149	-
დაგროვილი დეფიციტი		(5,947)	(4,097)	(1,583)
სულ კაპიტალი		16,555	4,552	2,148
ვალდებულებები				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
ვალდებულებების და ხარჯების რეზერვი		439	-	-
სხვა კრედიტორული დავალიანებები		1,073	106	463
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,512	106	463
სულ ვალდებულებები		1,512	106	463
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		18,067	4,658	2,611

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2024 წლის 23 აპრილს, შემდეგი პირის მიერ :  გიორგი აბრამიშვილი, დირექტორი

CCEH Hydro VI LLC**მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება**

<i>ათას ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	2023	2022
სხვა შემოსავალი		59	3
თანამშრომელთა ანაზღაურების ხარჯები		(579)	(869)
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ხარჯები	9	(195)	(171)
ზარალი საკურსო სხვაობიდან, წმინდა		(4)	(231)
სხვა საოპერაციო ხარჯები	10	(1,008)	(1,222)
EBITDA		(1,728)	(2,490)
ცვეთა და ამორტიზაცია		(89)	(38)
საოპერაციო ზარალი		(1,817)	(2,528)
ფინანსური ხარჯები		(64)	(5)
ფინანსური შემოსავალი		24	8
მოგება საკურსო სხვაობიდან/(ზარალი), წმინდა		7	11
ზარალი მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		(1,850)	(2,514)
მოგების გადასახადი		-	-
ზარალი წლის განმავლობაში		(1,850)	(2,514)
სხვა სრული მოგება		-	-
სულ მთლიანი ზარალი წლის განმავლობაში		(1,850)	(2,514)

CCEH Hydro VI LLC

ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

<i>ათას ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	<i>საწესდებო კაპიტალი</i>	<i>დამატებ კაპიტალ</i>	<i>აკუმულირებული დეფიციტი</i>	Total
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		3,731	-	(1,583)	2,148
შენატანები კაპიტალში	8	769	4,149	-	4,918
წლის ზარალი		-	-	(2,514)	(2,514)
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული ზარალი		-	-	(2,514)	(2,514)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		4,500	4,149	(4,097)	4,552
შენატანები კაპიტალში	8	794	13,059	-	13,853
წლის ზარალი		-	-	(1,850)	(1,850)
სხვა სრული შემოსავალი		-	-	-	-
სულ წლის სრული ზარალი		-	-	(1,850)	(1,850)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს		5,294	17,208	(5,947)	16,555

CCEH Hydro VI LLC
ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

ათას ლარში	შენიშვნა	2023	2022
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობებიდან			
ზარალი მოგების გადასახადებამდე		(1,850)	(2,514)
კორექტირებები:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	5	89	38
ფინანსური ხარჯები		40	5
ფინანსური შემოსავალი		(24)	(8)
საკურსო სხვაობით გამოწვეული (მოგება)/ზარალი, წმინდა		(3)	220
საოპერაციო ფულადი ნაკადები სამუშაო კაპიტალის ცვლილებამდე		(1,748)	(2,259)
ზრდა სხვა დებიტორულ დავალიანებებში		(32)	(119)
ზრდა მარაგებში		(5)	(7)
ზრდა სხვა ფინანსურ აქტივში		-	(162)
ზრდა სხვა კრედიტორულ დავალიანებებში		-	85
საგადასახადო ნაშთების შემცირება/ ზრდა		(128)	48
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(165)	(155)
გადახდილი მოგების გადასახადები		-	-
საოპერაციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,913)	(2,414)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობებიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	5	(10,578)	(1,862)
ზრდა სხვა ფინანსურ აქტივებში		(424)	-
სესხის გაცემა	12	-	(800)
საინვესტიციო საქმიანობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(11,002)	(2,662)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან			
შემოსავლები კაპიტალში შენატანებიდან	8	13,853	4,918
მიღებული პროცენტი		24	8
გადახდილი პროცენტი		(59)	(4)
გადახდილი სხვა საბანკო მომსახურების საკომისიო		(5)	-
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობებიდან		13,813	4,922
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულზე და ფულის ექვივალენტებზე, წმინდა		34	(239)
წმინდა (შემცირება)/ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		932	(393)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის დასაწყისში	7	624	1,017
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წლის ბოლოს	7	1,556	624

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰიდრო VI“-ს (CCEH Hydro VI LLC) („კომპანია“ ან „ჰიდრო 6“) ფინანსური ანგარიშგებები, 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის, მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS / ფასს - SME-თვის) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

კომპანია შეიქმნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია, საქართველოს რეგულაციების შესაბამისად, 2020 წლის 20 იანვარს. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404591394.

2023 წლის 4 აგვისტოდან, კომპანიამ თავისი კაპიტალის სტრუქტურა შესაბამისობაში მოიყვანა „მეწარმეთა“ შესახებ საქართველოს შესწორებული კანონის ახალ მოთხოვნებთან და გამოუშვა A და B კლასის აქციები. ინფორმაცია თითოეული კლასის აქციის მფლობელების და მათი საკუთრების წილის შესახებ ბოლო ორი წლის განმავლობაში, არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2023		31 დეკემბერი 2022	
	აქციების რაოდენობა	აქციების პროცენტული	აქციების რაოდენობა	აქციების პროცენტული
A კლასის მფლობელები				
Bakhvi 1 Holdco LLC	3,000,000	56.67%	3,000,000	66.70%
Industrielienschaftenverwaltung AG	1,976,178	37.33%	1,230,000	27.30%
ბ-ნი ტარას ნიჟარაძე	105,876	2%	90,000	2%
Hans Holding LLC	105,876	2%	90,000	2%
ბ-ნი ვერნერ პანჰაუზერი	105,876	2%	90,000	2%
B კლასის მფლობელები				
ბ-ნი გიორგი აბრამიშვილი	110,865	44.45%	94,241	44.45%
ბ-ნი არჩილ ძნელაძე	110,865	44.45%	94,241	44.45%
ბ-ნი ანდრო ბრეგვაძე	27,716	11.10%	23,560	11.10%

შპს ბახვი 1 - ჰოლდინგური კომპანია არის „Caucasus Clean Energy Fund I, L.P“-ს. („CCEF“, „ფონდი“, ან „პარტნიორობა“) აფილირებული კომპანია. CCEF არის პარტნიორობა, რომელიც ფოკუსირებულია საქართველოში მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურებისთვის („ჰესი“) საკუთარი კაპიტალის უზრუნველყოფაზე. ფონდის შემადგენლობაში შედის განვითარების წამყვანი ფინანსური ინსტიტუტები, ოჯახური კაპიტალის ფორმები და საინვესტიციო ორგანიზაციები. Schulze Global Georgia GP, L.P. არის ფონდის გენერალური პარტნიორი. ფონდის ინვესტიცია და შესაბამისად საკუთრება თავის ჰიდროელექტროსადგურებში გაერთიანებულია ჰოლდინგური კომპანიით - „კავკასუს ქლინ ენერჯი ჰოლდინგ პტე. ლიმიტედ“ / Caucasus Clean Energy Holding Pte Limited („CCEH“) - რომელიც რეგისტრირებულია სინგაპურში და მთლიანად ეკუთვნის პარტნიორობას.

ფონდსა და „Industrielienschaftenverwaltung AG“-ს (ILAG) შორის გაფორმდა „სააქციო და საინვესტიციო ხელშეკრულებები 2022 წლის 30 ივნისს. „Industrielienschaftenverwaltung AG“ (ILAG) არის სააქციო კორპორაცია (Aktiengesellschaft), სათანადოდ დაფუძნებული და კანონიერად მოქმედი ავსტრიის კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული მისამართი - ვენა, ფიზიკური მისამართი: Opernring 17, 1010 ვენა, ავსტრია, რეგისტრირებული ვენის კომერციულ სასამართლოში (Handelsgericht Wien) რეგისტრაციის ნომრით FN 73589w. შპს ბახვი 1 ჰესი - ჰოლდინგური კომპანია, შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰიდრო VII“ (ფონდის აფილირებული კომპანიები).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა „ბახვი 1 ჰიდროელექტროსადგურის“ („ბახვი 1“) - კალაპოტური ტიპის ჰიდროელექტროსადგური, 10.9 მგვტ / MW დადგმული სიმძლავრით, მდებარე მდინარე ბახვისწყალზე (გურია, საქართველო) - მშენებლობა, ფლობა და ექსპლუატაცია.

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის განხორციელების ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი 0105, მთაწმინდის რაიონი, გ. ლეონიძის ქუჩა #2ა, ფართი #5, სართული 3.

საანგარიშგებო ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ლარში („ლარი“), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს განვითარებულ ბაზრებთან შედარებით; რისკების არასრულ ჩამონათვალში შედის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური და სამართლებრივი და საკანონმდებლო რისკები. გარემო, კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესზე საქართველოში, კვლავ სწრაფად იცვლება, საქართველოს საგადასახადო და ნორმატიული ბაზები ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. რუსეთი - უკრაინის სამხედრო კონფლიქტმა, რომელიც დაიწყო 2022 წლის თებერვალში, უარყოფითი გავლენა იქონია მსოფლიო ეკონომიკაზე; გარეშე ფაქტორების არასრული ჩამონათვალი მოიცავს: საომარ მოქმედებებს, ლტოლვილების ნაკადთან დაკავშირებულ კრიზისს, მიწოდების ჯაჭვის დარღვევას, ინფლაციის ზრდას, სურსათის და საქონლის ფასის ზრდას და სხვა უარყოფით გავლენებს მსოფლიო ეკონომიკაზე. წლიური ინფლაციის მაჩვენებელმა 2023 წელს 0.4% შეადგინა.

უკრაინელების, ბელორუსების და რუსების დიდი რაოდენობით შემოდინებამ 2022 წელს დადებითი გავლენა იქონია საქართველოს ეკონომიკაზე, რაც დასტურდება ადგილობრივი ვალუტის კურსის ძლიერი ზრდით, ასევე ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპებით, რომლის შედეგად მშპ გაიზარდა 7.5%-ით წინა წლებთან შედარებით, 2023 წელს. წლიური ინფლაცია 2023 წელს გაიზარდა 2.5%-ით 2022 წელთან შედარებით.

კომპანიაზე პირდაპირ ზემოქმედებას არ ახდენს უკრაინის, რუსეთის და ბელორუსის ფაქტორები, თუმცა ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება იქონიოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე მომავალში, ხელმძღვანელობა გონივრულად და სიფრთხილით იღებს კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდაჭერისთვის საჭირო ყველა ზომას.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებები მომზადების დროს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. ეს პრინციპები საყოველთაოდ მიღებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისათვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს კონკრეტული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს თავისი მსჯელობები და მოსაზრებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. საკითხები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი დონის განსჯადობით ან სირთულით, ან საკითხები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებებისთვის, წარმოდგენილია 4 შენიშვნაში.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია. კომპანიის საოპერაციო (ფუნქციური) ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც აღნიშნული კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის საოპერაციო ვალუტა და მისი წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი („ლარი“). ფინანსური ანგარიშგებები წარმოდგენილია ათას ლარში, გარდა იმ შემთხვევებისა, სადაც სხვაგვარად არის მითითებული.

ტრანზაქციები და ნაშთები. უცხოურ ვალუტებში დენომინირებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები, საბალანსო ანგარიშგების თარიღისთვის, გადაიცვლება ლარში აღნიშნული თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსის მიხედვით. მოგება და ზარალი, რომელიც

წარმოიქმნება ასეთი ოპერაციების ანგარიშსწორების და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაციის შედეგად, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ამჟამად, ქართული ვალუტა (ლარი) არ არის თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტა საქართველოს ფარგლებს გარეთ..

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ლარი / აშშ დოლარი	2.6894	2.7020
ლარი / ევრო	2.9753	2.8844

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ("PPE") მითითებულია თვითღირებულებით, მინუს აკუმულირებული ცვეთა და აკუმულირებული გაუფასურების ზარალი. თავდაპირველი ღირებულება მოიცავს ხარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის ექსპლუატაციისთვის საჭირო ადგილზე და პირობებში მიწოდებასთან, ხელმძღვანელობის მიზნების შესაბამისად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

კომპანია ძირითადი საშუალებების ობიექტის საბალანსო ღირებულებას ამატებს ასეთი ობიექტის ნაწილების შეცვლის ხარჯს, ასეთი ხარჯის გაწევისას, თუ მოსალოდნელია, რომ ასეთი ნაწილის შეცვლა დამატებით მომავალ სარგებელს მოუტანს კომპანიას. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ყველა სხვა სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯების აღრიცხვა ხდება იმ პერიოდში, რომელშიც ხარჯები არის გაწეული.

ცვეთა. მიწა და მშენებარე ობიექტები არ ექვემდებარება ცვეთას. სხვა აქტივებზე ცვეთა ერიცხება აქტივების ღირებულების განაწილებისთვის, მინუს ნარჩენი ღირებულება მათი სავარაუდო საექსპლუატაციო ვადების განმავლობაში, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო საექსპლუატაციო ვადები მოცემულია შემდეგი სახით:

	საექსპლუატაციო ვადა
-	
სატრანსპორტო საშუალებები	5 წელი
დანადგარები და მოწყობილობა	5 წელი
საოფისე მოწყობილობა, ინვენტარი და საკუთვნოები	5 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო საექსპლუატაციო ვადები და ამორტიზაციის მეთოდები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და კორექტირდება თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების რაიმე ნიშანი ბოლო საანგარიშგებო თარიღიდან.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება დაუყოვნებლივ ანაზღაურებად ღირებულებამდე თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო ანაზღაურებად ღირებულებას (შენიშვნა 5).

გასხვისებიდან მიღებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია „მოგებაში, მინუს ზარალი ძირითადი საშუალებების გასხვისებიდან“ მოგება ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვეს ან უფრო ნაკლებს შეადგენს. ფული და ფულის ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სხვა ფინანსური აქტივები. სხვა ფინანსური აქტივები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) რეზერვი

აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით გაანგარიშებული ფინანსური აქტივებისთვის..

დებიტორული დავალიანებები და გაცემული სესხები. დებიტორული დავალიანებები და გაცემული სესხები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით. შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, მინუს გაუფასურების რეზერვი. სავაჭრო დებიტორული დავალიანებების და გაცემული სესხების გაუფასურების რეზერვი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას დებიტორული დავალიანებების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

ავანსები. ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვით. ავანსები კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელის კომპანიაში შედინება. სხვა ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში..

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო კრედიტორული დავალიანებები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასად და შემდეგ ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა. აქტივები, რომლებსაც ერიცხება ცვეთა და ამორტიზაცია, ფასდება თითოეულ ანგარიშგების დღეს იმის განსაზღვრისთვის არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების რაიმე მინიშნება, იმ შემთხვევაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ნიშანი აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის („CGU“) საბალანსო ღირებულება, რომელზეც მოხდა აქტივის განაწილება) მოწმდება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ თანხის ოდენობით, რა თანხითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის („CGU“) სამართლიან ღირებულებას, გამოკლებული რეალიზაციის ხარჯი, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების შეფასების მიზნებისათვის აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რომელზეც ხდება დამოუკიდებლად იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადების („CGU“) წარმოქმნა. არაფინანსური აქტივების (გუდვილის გარდა) ადრინდელი გაუფასურებები გადაიხედება გაუფასურების შესაძლო აღდგენის თვალსაზრისით თითოეულ საანგარიშგებო თარიღისთვის.

ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. თუ ეფექტი არის არსებითი, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგვრამდე განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ ვალდებულებისთვის სპეციფიკურ რისკებს..

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი აქტივი წარმოადგენს პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც დამოკიდებულია მომავალ მოვლენებზე, რომლებიც სცილდება კომპანიის კონტროლის ფარგლებს. იმ ფაქტის გამო, რომ არსებობს გაურკვევლობები იქნება თუ არა მატერიალიზებული აღნიშნული მოგება ან შესაძლებელი იქნება მათი ზუსტი ეკონომიკური ღირებულების განსაზღვრა, ნიშნავს, რომ აღნიშნული აქტივები არ აღირიცხება საბალანსო ანგარიშგებაში.

ამის ნაცვლად ისინი აღირიცხება ფინანსური ანგარიშგებების თანდართულ შენიშვნებში. პირობითი ვალდებულება არის ვალდებულება, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნას გაურკვეველი მომავალი მოვლენის შედეგიდან გამომდინარე. პირობითი ვალდებულება აღირიცხება თუ არსებობს გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოქმნის ალბათობა და შესაძლებელია ვალდებულების თანხის საიმედოდ შეფასება. ვალდებულება შეიძლება აისახოს ფინანსური ანგარიშგებების შენიშვნებში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ორივე პირობა დაკმაყოფილდება.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა არის კომპანიის გამოშვებული კაპიტალი, ნომინალური ღირებულებით, რომელიც განსაზღვრულია კომპანიის მფლობელების მიერ. კომპანიის გამოშვებულ კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს კომპანიის მფლობელის გადაწყვეტილების საფუძველზე.

ჭარბი კაპიტალი. წარმოადგენს სხვაობას საწესდებო კაპიტალსა (საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის წესდების საფუძველზე) და ფაქტობრივ კაპიტალს შორის, რომელიც შეტანილია კომპანიაში.

მოგების გადასახადები მოგების გადასახადები ასახულია წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებში არსებული კანონმდებლობის, ან საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) არ არიან ვალდებული გადაიხადონ მოგების გადასახადი მოგებაზე, რომელიც გამომუშავებულია 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის სახით. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომუშავებული მოგებიდან არ იბეგრება. მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილებიდან, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილი იქნა დივიდენდები. დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალური თანხას. იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ საწარმოებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაბეგვრას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, საგადასახადო შეღავათის გამოქვითვის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ საწარმოებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება გადასახადებში, მოგების გადასახადის გარდა საოპერაციო ხარჯების ფარგლებში.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. ხელმძღვანელობა კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო მდგომარეობას ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის პოზიციებისთვის, რომლებმაც ხელმძღვანელობის განსაზღვრებით შესაძლოა წარმოქმნას დამატებითი გადასახადები, თუ აღნიშნული პოზიციები სადავო გახდება საგადასახადო ორგანოების მიერ. აღნიშნული შეფასება ეფუძნება ამჟამად მოქმედ ან არსებითად საანგარიშგებო პერიოდის დასასრულისთვის მოქმედ საგადასახადო კანონმდებლობის ან მსგავს საკითხებზე სასამართლო გადაწყვეტილებების ინტერპრეტირებას. საურავებთან, პროცენტთან და გადასახადებთან (მოგების გადასახადების გარდა) დაკავშირებული ვალდებულებები, აღიარდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ვალდებულებების დასაფარად საჭირო ხარჯების ხელმძღვანელების საუკეთესო შეფასების საფუძველზე. გაურკვეველი მოგების გადასახადის პოზიციები აისახება მოგების გადასახადის ხარჯში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. პროდუქციის რეალიზაციასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებს უნდა გადაეხადოს იმ თარიღისთვის, რომელიც უფრო ადრე დადგება: (ა) კლიენტებისაგან დებიტორული დავალიანებების ამოღების თარიღი ან (ბ) კლიენტებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების თარიღი. ზოგადად, პროდუქციის შეძენასთან დაკავშირებით წარმოქმნილი დამატებული ღირებულების გადასახადი ანაზღაურდება ჩასათვლელი დღე-სთან მიმართებით, დღე-ს ანგარიშ-ფაქტურის მიღების შემდეგ. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის ჩათვლა ნეტო საფუძველზე. ელექტროენერგიის მიწოდება გათავისუფლებულია დღე-სგან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ელექტროენერგია მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

EBITDA. EBITDA განისაზღვრება, როგორც მოგება პროცენტის, მოგების გადასახადის, ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვამდე და საკურსო (ზარალი) / მოგების დარიცხვამდე ფინანსური საქმიანობებიდან. EBITDA წარმოდგენილია, როგორც შუალედური შედეგი მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ EBITDA-ს წარდგენა უზრუნველყოფს საიმედო და უფრო აქტუალური ინფორმაციას. EBITDA ფოკუსირებულია საოპერაციო გადაწყვეტილებების ფინანსურ შედეგზე, არასაოპერაციო გადაწყვეტილებების ზემოქმედების აღმოფხვრით, მაგ. საგადასახადო განაკვეთები, საპროცენტო ხარჯები. EBITDA არის მნიშვნელოვანი ფინანსური ზომა, რომელსაც იყენებენ დაინტერესებული პირები საქმიანობის შეფასების, მართვის ეფექტურობის და პირობების შეფასების მიზნით.

განმარტების მიხედვით, EBITDA (შენიშვნა 3) არ მოიცავს საკურსო (ზარალს) / მოგებას ფინანსური საქმიანობებიდან. შესაბამისად წმინდა საკურსო (ზარალის) / მოგების მუხლი დაყოფილია ორ ცალკე მუხლად: საკურსო (ზარალი) / მოგება, წმინდა (ფინანსური საქმიანობების გარეშე) და საკურსო (ზარალი) / მოგება, წმინდა ფინანსური საქმიანობებიდან.

ფინანსური ანგარიშგებების ცვლილება გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებებში გამოცემის შემდეგ მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობის ნებართვას, რომლებმაც დაამტკიცეს ფინანსური ანგარიშგებების გამოცემა.

4. ინფორმაცია შეფასების, გაურკვევლობის და განსჯის მთავარი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობები მუდმივად კონტროლდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის

გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ მსჯელობების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე იყენებს სხვა მსჯელობებს. მსჯელობები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსურ წელს, მოიცავს:

საქმიანობის უწყვეტობა. ხელმძღვანელობამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგებები საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ამ გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე მიზნები, ოპერაციების მომავალი მომგებიანობა და წვდომა ფინანსურ რესურსებზე და გაანალიზა მაკრო-ეკონომიკური განვითარებ ის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე. ხელმძღვანელობა თვლის, რომ საჭირო დაფინანსება ხელმისაწვდომი იქნება კომპანიისთვის საქმიანობის გასაგრძელებლად უახლოეს მომავალში. .

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადები. ძირითადი საშუალებების ობიექტის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება ეფუძნება ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებას მსგავს აქტივებთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილების შესაბამისად. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, ტექნიკურ ცვეთას, ფიზიკურ ცვეთას და იმ გარემოს, სადაც აქტივის გამოყენება ხდება. ნებისმიერი ამ პირობის ან შეფასების ცვლილება განაპირობებს მომავალი ცვეთის ნორმების კორექტირებას.

CCEH Hydro VI LLC

ფინანსურ ანგარიშგებათა დაკავშირებული ცვლილებები, 31 დეკემბერი, 2023

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების დინამიკა იყო შემდეგი:

	მიმდინარე მშენებლობა	დანადგარი და მოწყობილობა	საოფისე მოწყობილობა და ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა	სულ
ხარჯი ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	1,368	-	79	74	-	1,520
დამატებები	1,219	17	95	80	-	1,412
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,587	17	174	154	-	2,932
დამატებები	8,248	3	50	167	3	8,471
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	10,835	20	225	321	3	11,403
აკუმულირებული ცვეთა ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	-	-	(8)	(7)	-	(15)
ხარჯი წლის განმავლობაში	-	(1)	(22)	(16)	-	(38)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	-	(1)	(30)	(23)	-	(53)
ხარჯი წლის განმავლობაში	-	(4)	(39)	(46)	-	(89)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	-	(4)	(69)	(69)	-	(143)
საბალანსო ღირებულება ნაშთი 2022 წლის 1 იანვარს	1,368	-	71	67	-	1,505
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს	2,587	16	144	132	-	2,880
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	10,835	15	156	252	3	11,260

ძირითადი საშუალებებისთვის წინასწარ გადახდილმა თანხებმა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 3,557 ათასი ლარი. ძირითადი საშუალებების შემენისთვის გადასახდელმა თანხებმა 2023 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგინა 1,073 ათასი ლარი (31 დეკემბერი 2022: 106 ათასი ლარი).

6. სხვა ფინანსური აქტივი

სხვა ფინანსური აქტივი წარმოადგენს შეზღუდულ ფულად თანხას, რომელიც განთავსებულია საბანკო დეპოზიტზე საბანკო გარანტიისთვის, რომელიც გაიცა 2023 წლის 27 სექტემბერს საქართველოს მთავრობაზე ურთიერთგაგების მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესაბამისად (შენიშვნა 11).

ათას ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
საბანკო დეპოზიტი	555	162	-

7. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფული ბანკში	1,556	624	1,107
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	1,556	624	1,017

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები წარმოადგენს ფულად ნაშთებს, რომელიც განთავსებულია კომპანიის ანგარიშებზე სს თიბისი ბანკში.

8. საწესდებო კაპიტალი

2020 წელს „კავკასუს ქლინ ენერჯი ჰოლდინგ პტე. ლიმიტედ“-მა (Caucasus Clean Energy Holding Pte Limited) კომპანიის კაპიტალში შეიტანა 626 ათასი ლარი და 2021 წელს - 3,105 ათასი ლარი..

2022 წელს კომპანიამ საბჭოს გადაწყვეტილებით გამოუშვა 4,712 აქცია, ნომინალური ღირებულებით 4,500 ათასი ლარი. 2022 წლის განმავლობაში ფონდიდან მთლიანმა შენატანებმა შეადგინა 683 ათასი აშშ დოლარი (2,028 ათასი ლარი), ხოლო მინორიტარი აქციონერებისგან 938 ათასი აშშ დოლარი (2,644 ათასი ლარი). სხვაობა, საერთო კაპიტალის შენატანსა და გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას შორის 4,149 ათასი ლარი, აღიარებულ იქნა კაპიტალის ნამეტად 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

2023 წელს, საბჭოს გადაწყვეტილებით, კომპანიამ გამოუშვა 794 ათასი ლარის ნომინალური ღირებულების 831 აქცია. 2023 წლის განმავლობაში ფონდიდან მთლიანმა შენატანებმა შეადგინა 2,658 ათასი აშშ დოლარი (6,866 ათასი ლარი), ხოლო მინორიტარი აქციონერებისგან - 2,645 ათასი აშშ დოლარი (6,926 ათასი ლარი). სხვაობა, მთლიან კაპიტალსა და გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებას შორის 17,208 ათასი ლარი, აღიარებულ იქნა კაპიტალის ნამეტად 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის..

კომპანიამ თავის თანამშრომლებთან გააფორმა წილობრივ საფუძველზე გადახდის შეთანხმებები. არჩეულ თანამშრომლებს შრომითი ხელშეკრულებით ენიჭებათ აქციები კომპანიას არ აქვს სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება აქციების ნაღდი ფულით გამოსყიდვის ან გადახდის შესახებ. შეთანხმებების დეტალები აღწერილია ქვემოთ:

შეთანხმება	თანამშრომლებისთვის მინ იჭებული აქციები 2023 წელს
შეთანხმების სახე	აქციების მინიჭება
მიენიჭა	CCEH Hydro VI-ს თანამშრომლებს
მინიჭების თარიღი	22 თებერვალი 2023
მინიჭებული ინსტრუმენტების რაოდენობა	37,404
ანგარიშსწორება	აქცია

9. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ხარჯები

ათას ლარში	2023	2022
მცირე მასშტაბიანი სოციალური ღონისძიებები	141	116
ინფრასტრუქტურა	8	-
მივლინება და წარმომადგენლობა ESG-თან დაკავშირებით	3	44
დაბეგვრის მომსახურების საფასური	-	3
სხვა	43	8
სულ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ხარჯები	195	171

10. სხვა საოპერაციო ხარჯები

ათას ლარში	2023	2022
პროფესიული მომსახურების საფასური	285	341
იჯარის ხარჯები	160	78
საგადასახადო ხარჯი, გარდა მოგების გადასახადისა	142	108
წარმომადგენლობითი ხარჯები	123	204
სარემონტო და ტექნიკური მომსახურების ხარჯები	101	105
საოფისე მასალები	81	86
კომუნალური ხარჯები	10	8
საკომუნიკაციო ხარჯები	8	-
სადაზღვევო ხარჯები	5	-
სოფლის ინფრასტრუქტურის ხარჯები	-	238
ტექნიკური სამუშაოების/კვლევების ხარჯები	-	41
სხვა	93	13
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	1,008	1,222

11. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ხასიათდება ხშირი ცვლილებებით კანონმდებლობაში, ოფიციალურ დოკუმენტებში და სასამართლოს გადაწყვეტილებებში, რომლებიც ხშირ შემთხვევაში ბუნდოვან, საწინააღმდეგო ფორმულირებას მოიცავს და არაერთგვაროვნად არის განმარტებული საგადასახადო ორგანოების მიერ. გადასახადები ექვემდებარება სახელმწიფო ორგანოების მხრიდან გადახედვას და შემოწმებას, რომლებსაც აქვთ მკაცრი სანქციების, ჯარიმების და პროცენტების დარიცხვის უფლებამოსილება. საგადასახადო წელი მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში რჩება ღია, საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმების მიზნით, თუმცა, კონკრეტულ გარემოებებში, საგადასახადო წელი შესაძლებელია ღიად დარჩეს უფრო დიდი ხნის განმავლობაში. აღნიშნულმა გარემოებებმა შესაძლოა წარმოქმნას საგადასახადო რისკები საქართველოში, რომლებიც შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი იყოს სხვა ქვეყნებთან შედარებით. ხელმძღვანელობის აზრით, იგი ადეკვატურად ასრულებს საგადასახადო ვალდებულებებს, საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციების, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების შესაბამისად. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შესაძლოა განსხვავებული იყოს და გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებებზე იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ორგანოები გამოიყენებენ საკუთარ ინტერპრეტაციებს, შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს.

ვალდებულება საქართველოს მთავრობასთან. საქართველოს მთავრობასთან 2020 წლის 21 აგვისტოს გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, კომპანიას აქვს ვალდებულება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარუდგინოს რამდენიმე ტექნიკური / ESG კვლევის სრული საინფორმაციო პაკეტი, ურთიერთგაგების მემორანდუმის ხელმოწერის თარიღიდან 23 თვის განმავლობაში. კომპანიამ წარადგინა ყველა მოთხოვნილი დოკუმენტი საანგარიშო პერიოდში.

საბანკო გარანტია. 2023 წლის 27 სექტემბერს, კომპანიამ საქართველოს მთავრობას წარუდგინა საბანკო გარანტია, ურთიერთგაგების მემორანდუმის თანახმად, 218 ათასი აშშ დოლარის (583 ათასი ლარი) ოდენობით, რომელიც გაუქმდება სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ. სამშენებლო სამუშაოების დასრულების სავარაუდო თარიღია 2027 წლის მარტი. საბანკო ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც შეადგენს 624 ათას ლარს, გამოთავისუფლდა 2023 წლის განმავლობაში წინა სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ, ურთიერთგაგების მემორანდუმის შესაბამისად.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საკითხები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კომპანიისთვის და პროექტის განვითარება ის სრული პროცესი ხორციელდება მსოფლიოში აღიარებული ESG სტანდარტების შესაბამისად (EIB, IFC). კომპანიამ ბიომრავალფეროვნების შეფასებისა და ბიომრავალფეროვნების სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის დაიქირავა SLR Consulting.

11. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

სოციალური საკითხები. პროექტის განვითარების ღონისძიებების გარდა კომპანია აგრძელებს მოლაპარაკებას სხვადასხვა დაინტერესებულ პირებთან (მათ შორის ადგილობრივ მოსახლეობასთან) სოციალური პროგრამების შესახებ, რომელიც გრძელვადიან გავლენას იქონიებს ადგილობრივ მოსახლეობაზე. საკონსულტაციო საბჭო შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების, კერძო და სახელმწიფო სექტორის გასაერთიანებლად, ბაზვი 1 პროექტის განვითარების პროცესზე უწყვეტი და გამჭვირვალე დიალოგის მიზნით. მემორანდუმი გაფორმდა აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან (USAID) ჩაის ღირებულებათა ჯაჭვის მხარდაჭერის და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განვითარების მიზნით.

12. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ათას ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სესხები, გაცემული საწარმოსთვის, რომელიც არის საერთო კონტროლის ქვეშ. ბაზვი 2	807	811	-
წინასწარ გადახდილი ხარჯები საწარმოსთვის, რომელიც არის საერთო კონტროლის ქვეშ CCEH Hydro VII-ს	-	77	-

2023 წლის დეკემბერში, კომპანიამ გააგრძელა დაკავშირებული მხარისთვის გაცემული 300 ათასი აშშ დოლარის (807 ათასი ლარის) ოდენობის სესხის დაფარვის ვადა 2024 წლის 16 დეკემბრამდე.

ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შედიან კომპანიის დირექტორები. მომსახურებებისთვის ხელმძღვანელობისთვის გადახდილი ანაზღაურება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხელფასებს.

სულ ხელმძღვანელობის ანაზღაურება:

ათას ლარში	2023	2022
ხელფასების და სარგებლის ხარჯები	160	173
ხელფასები და სარგებელი, კაპიტალიზებული მიმდინარე მშენებლობაზე	79	86
სულ ხელმძღვანელობის კომპენსაცია	239	259

13. ფინანსური ინსტრუმენტები

ათას ლარში	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
ფინანსური აქტივები		
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მინუს გაუფასურება	3,022	1,604
ფულადი საქვსრები და მათი ექვივალენტები	1,556	624
გაცემული სესხი	807	811
სხვა ფინანსური აქტივები	555	162
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანებები	104	7

CCEH Hydro VI LLC

ფინანსურ ანგარიშგებთან დაკავშირებული ცვლილებები, 31 დეკემბერი, 2023

ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	1,073	91
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	1,073	91

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების თარიღამდე, აქციონერებმა განახორციელეს დამატებითი ფულადი შენატანები კაპიტალში, 1,403 ათასი აშშ დოლარის (3,778 ათასი ლარის) ოდენობით.